პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 29 ნოემბერი, 1925 წ.

# ტარტაროზი

ფასი 10 კოპ.

№ 26 გაზ. „მუშა"-ს ყოველკვირეული უფასო დამატება № 26

## „ახალი კუნძული"

### „ახალი აღმოჩენა"



(იხ. წერილი მე 2 გვერდზე).

# ახალი კუნძული
## (ახალი აღმოჩენა)

მომაგონდა მოწაფეობის დრო.

მომაგონდა გეოგრაფიის გაკვეთილი, როცა მასწავლებელი რუქას გადაგვიშლიდა და გაკვეთილის ახსნას დაგვიწყებდა—გვაჩვენებდა:

— მთელი დედა-მიწის ორი მესამედი წყალს უჭირავს, ხოლო ერთი მესამედი კი—ხმელეთსო.

მე ეს მიკვირდა.

მიკვირდა იმიტომ, რომ: ხმელეთს უფრო მეტს ვხედავდი, ვიდრე წყალს.

თანაც გული შემტკივოდა:

— თუ ღმერთს სამართალი აქვს, რატომ წყალი ხმელეთზე მეტი გააჩინა?.. მიწა მოსახმარია, ხოლო ამდენი წყალი ღვინო ხომ არ არის, რომ ადამიანმა დალიოს-მეთქი.

ვხედავდი:

ოკეანეებს, ზღვებს და სრუტეებს. მართლაც: წყალი მეტი იყო, ვიდრე ხმელეთი.

ჩემს მწუხარებას აორკეცებდა ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყანა პატარა იყო, მახლობლად კი ვეებერთელა შავი ზღვა, რომელზედაც არც ხვნათესვა შეიძლებოდა და არც ვენახის მოშენება.

— ამ ოხერში (შავ ზღვაში) ერთი მაინც ყოფილიყო მოზრდილი კუნძული, რომ რამოდენიმე ქართველი (თუ გინდ: ხორავა და ჯაში) იქ დასახლებულიყო.

— იქნებ, ვინ იცის, კუნძული არის შავ ზღვაში, მაგრამ, რა ვქნათ, რომ ჩვენ კოლუმბები (და არც თანამედროვე ამუნდსენი) არა გვყავან!... თუ კი როდესმე კაცი გამოვედი (რაშიც ეჭვი ბავშობიდანვე შემდიოდა), უნდა შევისწავლო ზღვაოსნობა.

ასე ვფიქრობდი პატარობისას და ამ განზრახვაზე დღემდის არ ამიღია ხელი, ხოლო ეხლა კი ავიღე, რადგან „გოსკინპრომმა" უკვე სასურველად გადასჭრა ეს ჩემთვის აუხსვენარი და თავსატეხი საკითხი? მან მისი რეჟისორის წყალობით შავ ზღვაში აჭარისტანის მახლობლად აღმოაჩინა ერთი დღემდე უცნობი კუნძული.

ამ კუნძულს სახელი იმ ადამიანის ეწოდა, რომელმაც იგი აღმოაჩინა. (საზოგადოდ ეს ასეა შემოღებული) —ეს გახლავთ რეჟისორი ბარსკი.

მე მხოლოდ ის მწყინს, რომ, იქნებ როდესმე ეს კუნძული მეც აღმომეჩინა და მისთვის ჩემი სახელი დამერქმია. მაგრამ აქ არის ჩემი მიზანის გამართლება და ამიტომაც ამ კუნძულის აღმომჩენს არც ვედავები ამ „ბედნიერებაში" (ანდა რად მინდა ჩემი სახელი ეწოდოს ისეთ რამეს, რაც არ არსებობს!.. ეს ჩვენს შორის დარჩეს).

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს კუნძული ჩვენს და ოსმალეთს შორის გამოიწვევს უთანხმოებას, რასაც შეიძლება დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა და მეგობრული ურთიერთობის გამწვავებაც მოჰყვეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქემალი კრინტსაც ვერ დასძრავს ამ კუნძულის შესახებ, ვინაიდან, როგორც ამის შესახებ კუნძულის აღმომჩენის მ-emy —უარი (დადგმაზე) გადმოგვცემს, ეს კუნძული დასახლებული ყოფილა ქართველებით.

ეს ასეც იქნება.

აქ არ ცდება აღმომჩენი.

აჭარისტანის ზღვისპირა ნაწილში —ლაზისტანში თავიდანვე ცხოვრობდენ მეგრელები. ეხლაც იქ ადგილობრივი მცხოვრები—ლაზები ლაპარაკობენ უფრო მეტად მეგრულ ენაზე, ვიდრე ქართულზე და ამ ისტორიულ დოკუმენტით შემდეგ, რა გასაკვირალია, რომ ახლად აღმოჩენილ კუნძულზე ცხოვრობდეს ხორავა, რომელსაც თითქმის ყველა ჩვენგანი იცნობს.

ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებული ვიყოთ, ვინაიდან კუნძულზე მეტოქეობას ქემალი ვერ გაგვიწევს (ამას რომ თავი დავანებოთ, თვითონ სად იყო ამდენხანს? რატომ ვერ აღმოაჩინა? (მაგრამ რა უნდა აღმოეჩინა, რაც არ იყო?! ეს ჩვენს შორის დარჩეს) ესეც ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს).

ეჰ! ჩვენ უმადურები ვართ.

არ შეგვიძლია ადამიანის ღვაწლი დავაფასოთ: ჩვენმა საზოგადოებამ ეს „აღმოჩენა" ცივად მიიღო და აღმომჩენს მადლობის მაგივრად, მგონი, საყვედურიც კი უთხრა.

მაგრამ ბევრმა რა იცის: ხურმა რა ხილია.

მე მახსოვს: როცა მენშევიკების ცხონებული მთავრობა საზღვარგარედ „წაბრძანდა" უვადო შვებულებაში, მაშინ შუქურა (მაიაკი) მთელ შავ-ზღვას ანათებდა... ამას გარდა ხშირად უწინ გემებიდანაც ზვერავდენ მაიკით შავ-ზღვას... მაგრამ არც ერთხელ და არავის არ შეუმჩნევია ეს კუნძული.

დღეს კი **სახკინმრეწვმა** ფაქტის წინაშე დაგვაყენა...

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!..

კუნძული აღმოჩენილია და მის არსებობა ამიერიდან, თუ შავ-ზღვაში არ იქნება, ეკრანზე მაინც იქნება (ჯერჯერობით მხოლოდ, ეს ჩვენს შორის დარჩეს).

თქმულებაა: დედაბერმა (ალბათ „გოსკინპრომელი" იყო ის დედაბერი") სთქვაო:

— ჩემი კი ვქენი: ზღვაში ნუგუზალი ვდრუზეო და აწ გინდ ამოშრეს ზღვა და გინდ არაო.—

„სახკინმრეწვსაც" სრული უფლება აქვს (და ამ უფლებას ჩვენ ვერწავართმევთ) სთქვას:

— მე კი ჩემი ვქენი: ახალი კუნძული აღმოვაჩინე; გინდ დასახლდით ზედ, გინდ არა. და მართლაც საჭიროა გამოინახოს ისეთი ხალხი, რომელიც თავის არსებობას ვერ ამართლებს ამ „ცოდვილ ქვეყანაში" და გადავასახლოთ იქ, რათა მოშორდეს ქვეყანასა ამასა.

რა ვუყოთ მერე, თუ პირველი არჩევანი ისევ სახკინმრეწვს მოუწევს; უპირატესობა მას ეკუთვნის ამ შემთხვევაში. ვფიქრობთ: მეტოქე არავინ აღმოუჩნდება და ჩვენც დიდი სიხარულით გავაცილებთ.

—

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „საიდუმლო" (შუქურას) ისევ საიდუმლოდ რჩება.

არც ისე დიდი საიდუმლოა, რომ მის დანახვას მართლაც შუქურა დასჭირდეს.

დახედეთ ქარტას. (თუ ღამეა და ვერ ხედავთ, ასანთი აანთეთ)—და თქვენ დაინახავთ, რომ:

შავ-ზღვაში და ისიც აჭარისტანის მახლობლად კუნძული არ არის.

ერთს შუქურას რომ კიდევ შეიძენდეს სახკინმრეწვი (და ეს არც ისე ძვირია), ალბათ კიდევ აღმოაჩენდა შავ-ზღვაში კუნძულს.

აი, ნახეთ, თურმე რაში ყოფილა „შუქურას საიდუმლოება"—ისეთს აღმოაჩენს, რაც არ არსებობს.

**შინჯარი.**

# ღია წერილი

ტარტაროზს

თქვენი ჟურნალის № 24-ში ქია-თურელი „მაღაროს მუშა“ სხვებთა შორის ეხებოდა პატეიშვილს.

აი სწორედ ამის შესახებ მინდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა.

პატეიშვილი უწინ იყო „სკლა-დოვშჩიკი“ და მუშებს ისევე ცუდათ ექცეოდა, როგორც ეხლა; ამიტომ იგი გამოჰიმეს მაშინდელ გაზეთში

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონ-და.

ვფიქრობდით: ეხლა კი დადგა მი-სი აღსასრულის დღეო.

მართლაც მარკოზა მოგვიხსნეს „სკლადოვჩიკობიდან“, მაგრამ

დათხოვნის მაგივრად ქარხნის უფ-როსობა მისცეს.

დღესაც ისე არხეინად დასეირ-ნობს „ჩუმჩაირას“ ხმაზე, თითქოს სა-პრეზიდენტო სიაში გამოეჭიმოთ, და არა „ტარტაროზში“.

— რამდენიც უნდათ, იმდენი სწე-რონ, მე არაფრის მეშინიაო... ჩემ-თვის კიდევ უკეთესიაო. თითეულ გა-ზეთის ჩაწერაში, მე უფრო მაჯილ-დოებენო.

„ჯერ,ემ ვიყავ „სკლადოვჩიკი“,
დაბალ ფენზე მე შემდგარი;
გაზეთში რომ გამომჰიმეს,—
„ნაჩალნიკი“ ვარ მედგარი...

ასე ამბობს ტარტაროზო, პატეი-ლი,—და ეს მართლაც ასე ხდება.

ამიტომ თუ აწი მაზე შეგხვდეს წე-რილი, არ დაბეჭდო, თორემ კიდევ უფრო აამაღლებენ და ამაღლებულს უფრო შეეძლება ჩვენს ზურგზე გა-სეირნება.

ცაპ.



# [illegible]

## აქა ამბავი ლევარსის მიერ „სკვინჩას“ *) მოკვ-ლისა და სკვინჩას წეროდ გარდაქმნისა

ცოლმა უთხრა: „დღეს ლევარსი ჩვენ არა გვაქვს „მისაჭმელი“ **)
თაროზეა გუშინდელი გამომცხვარი ჭადი ხმელი,—
და თუ შენ არ გააქანე შენებურად შენი ხელი,
— იცოდე რომ: დღეს დავრჩებით ორივენი ჩვენ უჭმელი“.

—:—

— ვაჰხ, მოგიკვდეს შენ ლევარსი, თუ შენ მოგკლა სიმშილითა.
სანადიროდ წავალ ხელად; მომიტანე შენ „ფილითა“ ***).
ორ-სამ წუთში გადავივლი იმ მაღალს მთებს სირბილითა.
იმდენს მოვკლავ შაშვს და სკვინჩებს დღეს გეყოს და ხვალ დილითა.

და ლევარსიმ თვისი თოფი წამოიგდო მხარზე ჩქარა.
ცოლსა უთხრა: „შენ მითხარი—თუ რამდენი შაშვი კმარა“...
რა მიიღო პასუხად რომ: „ოცდაათი, ოცი არა“—
„ცხელი კვერი დამახვედრე“—ცოლს მან ასე დაუბარა:
მიდის და სად თვით არ იცის... უცქერს მაღალ ხის მწვერვალებს.
სადმე თუ რამ გაექანა, არ აშორებს ორივ თვალებს.
ფიქრობს: „ალბად დათვი არის“... გული მეტად უკანკალებს,—
მაგრამ მაინც გზას განაგრძობს, თავისთავსა არ იბრალებს.

უცებ, სადღაც ლობიდანა გამოფრინდა ყელ-წითელა
და ლევარსი შეკრთდა... ამბობს; მგელი იყო, ანდა მელა!?!
მაგრამ რისი მეშინია?! დღე არის და არა ბნელა...
რათა შიში გაეფანტა—წაუმღერა, ჩაახველა.



ამ დროს სკვინჩამ ჩვენს ლევარსის ხიდან „სკვინჩ-სკვინჩ“ გად-მოსძახა.

წაეპარა, დაუმიზნა და მიზანი გამოსახა.
თავისთვის სთქვა: „უკვე არის ჩავისველე მშრალი ხახა“...
თუ სხვა ვინმე იმ ჩიტს ჰკლავდა ლევარსიმ ვერ დაინახა.

*) პატარა ფრინველია.
**) კერძი.
***) ფრინველებზე სანადირო თოფი.

თითქოს ერთი ყოფილიყოს დაიცალა თოფი ორი
და ორივე „მონადირე“ უფლებებით თანასწორი
ერთმანეთის წინა წარსდგენ, მსხვერპლსა დასდეს თვისი ტორი:
აწ ლევარსის მოუსმინოთ, მისი სიტყვა არის სწორი.

ჰო-და როცა ხის ძირს მოველ, თუ გინდა რომ დამიჯერო,
ვნახე, მაგრამ, ო, რა ვნახე: სკვინჩის ნაცვლად არის წერო,
და ის არის—სიხარულით მინდა წეროს დავეძგერო
და მოკურცხლო სახლისკენა, ჩემი ცოლი ავამღერო—



—დამეძგერა ვილაც ზურგზე... დამემართა მე ეს ხათა:
მოვიხედე, დავინახე მეზობელი ჩვენი დათა.
ვეუბნები: „ხომ არ გინდა გაგიხეთქო თავი რვათა
ეს წერო რომ მე მოვკალი რათ არ იცი შენ ეს რათა?

ზმუკი.

# პოეტები პორტფელში

ზოგი პორტფელს ვერა სძრავს,—
ზოგი შიგ ვერ ეტევა...
ხანდისხან მეგობრული,
კარგი არის შეტევა...

დაათრევენ პორტფელებს:
გოგლა, გრიგოლ ტიციან...
ნეტავ რას აკეთებენ?—
ალბათ თითონ იციან...

**პოეტები პროფილში**

ლოთობაში მეც
დიდი მაქვს ფხაო;
„შენზე ნაკლები, ძმაო,
მგელმა ჰამოს თხაო“...

**კომპოზიტორები კლავიშებზე**

1. ვწერავ, და ვერ შემითხზავს,
მე ერთი ოპერაო;—
რა ვქნა, თუ ხალხს ლოდინში,
დაპირებით ვბერაო?!.

2. მე თუმც ბევრი დავსწერე,—
მაინც ვერას გავხდიო;
ამ ოხრებს არსად სდგავენ,
ნუ თუ ისე წავხდიო?!.

3. ძმამ მითხრა: შენ პატარავ,
დიდს ნუ ჰკიდებ ხელსაო;
ძმებში ვერვინ წამართმევს
მე პირველს სახელსაო ..

**მხატვრები გუდაში**

რა ლადო პარიზიდან
კვლავ იხილა თბილისმა:
გაჩაღდა მილოცვები,
სიმღერა და ტკბილი ხმა...

ზოგი შეძვრა გუდაში
მხატვრობას ველარ ჰბედავს;
რადგან ფერებში ახალს
შიშით ველარას ჰხედავს.

**დრამატქურდიაში**

ვინ არ გინდა დრამას „სთხზავს“,—
თავისას კი არ, სხვისასა;
რადგან არ ვისგან ელის
კრიტიკას, „ღვთის რისხვასა!“

წერეთელი იძახის:
—პიესა ჩემიაო!...
ბალანჩივაძე ყვირის:
—სენო საცემიაო!...

და, აქვთ ჩხუბი, ძიძგილი,
საქმე „სუდში“ გადასცეს;
ნეტავი სამართალი,
ზურგზე შოლტს ვის გადასცხებს?!...

მომავალი გვიჩვენებს,
თუ ამ ორში ვინ სტყუა:
ამათ ნურვინ მიჰბაძავს
თუ კი ვისმეს აქვს ჭკუა...

**სხვებიდან ნაიმისქვენი**

ამ ბოლო დროს გახშირდენ,
მწერლობაში ქურდები
ლექს-მოთხრობა დრამაში
სხვებით ანარხურდები...

ვინ არ გინდა „პოეტობს“
მაგრამ ლექსი სხვისია!...
„ნალდზე ივაჭრე ძმაო,
მუდამ წესი ისეა,

თორემ გამოგაქვეყნებ,
ვინც იქნება ყველასა;
მაშინ არ ვიცი ვისგან
მოელიან შველასა?..

**ჩოხოსანთა ორდენი**

და შესდგა საქართველოში,
ორდენი ჩოხოსანთა;
გაეცანით აქ ნახავთ;
მასწავლებელთ, მგოსანთა.

და როს შეეკითხები:
თუ რას ნიშნავს ესაო!
ასეთ პოზას მიიღებს
თითქოს დაიკვნესაო...

და გეტყვის: რა ვქნა ძმაო,
საქართველო მიყვარსო,
მას სამშობლო არ უყვარს‘
ვინც ჩოხას არ იცვამსო,

და, გირჩევ შენც ჩაიცვა,—
მათ ორდენში იაროო;
რასაც ბჭობენ ლაყბობენ,
ყველა გაიზიარო..

ტარხან.



# სხვადასხვაგვარი სასადილოები

## ქალაქად და სოფლად




ქეიფი, ზეიმი
გრძელდება სამ-ოთხს დღეს.
ამ ქვეყნად ხედავენ
„ნამდვილსა სამოთხეს“.

# ქუთათურო ბაგრატო

## ვა, თუ მოგცხეს მაგრათაო!

**ქუთაისიდან** მუშკორი „კინაქუთათური“ გვწერს:

„ქუთაისში ამჟამად დიდი შევიწროება არის ბამბაზიის და ფანელის უქონლობის გამო. მხოლოდ ასეთი იშოვება ქუთაისის „ბ. ო. ე. ც. კ. კ. (БОЕЦ К. К.)-ას განყოფილებაში, რომლის განაწილების საქმე მინდობილი აქვს უფროს ნოქარს ყოფ. **„მსხვილვაჭარს“** ბაგრატ მსხვილაძეს. აღნიშნულს უფრო კავშირი აქვს კერძო მოვაჭრეებთან ვიდრე კოოპერატივის წევრებთან, რის საშუალებითაც მუშა-მოსამსახურეებს არა აქვთ საშუალება შეიძინონ თავიანთ ოჯახებისათვის ზიმოარიშული ფართალი“.




**დახლში ბაგრატ,**
**წინაც—გლეხი,**
**ხოლო უკან**
**— „საქმის სპეცი“:**
**— გლეხს უარი**
**ფრია... ცივი,**
**სპეცს—ფართალი**
**დანაკეცი!**

**— შენ, ძმობილო,**
**ფანელი გსურს?**
**ვერ მოგართვი**
**ჩემო ძია!**
**— მარჯვენა ხელს**
**ვაჭრისაკენ**
**ჩუმად მიაქვს**
**ბამბაზია!**

**ტარტაროზი**
**ასე ფიქრობს,**
**რომ მსხვილიძეს**
**მსხვილი „დოზით“**
**არც თუ აწყენს**
**აჭრელება**
**დღეს საბჭოთა**
**წითელ როზგით!**

---

# ტყიბული

## გამოირკვა!?

ჩვენ გვაქვს, ტარტაროზ, სარჩევი:
ნახშირის გასაწმენდია
მაგრამ ნახშირის მაგივრათ
ქვები გამოყვა მეტია.

უფროსი მუშა „იოველ“
იმ ქვებმა გადაიტანა;
ვერ შესძლო რომ მიჯნურობის.
მასაც დაეკრა გიტარა.

შემდეგ დანიშნეს „მეთოდე“
ბუშვა კვლავ რონოდები.
ქვები აღარ სჩანს მის ნაცვლათ.
მოცოცავს დიდი ლოდები.

თავი იმართლა მეთოდემ:
„არ არის ჩემი ბრალიო“

„რა საჭიროა სარჩევში“
„რომ მუშაობდეს ქალიო“.

„მუშები იმათ შეცქერის“
„თავს-ბრუ ეხვევა ყველასო“.
აქ ბრალი მე არ მიმიძღვის
„ტყვილად იმწარებთ ენასო“.

...ებრულათ ვეტყოდი,
ურჩევდი ძია „მეთოდეს“:
—დღეს გასავალი არა აქვს
მის დახავსებულ მეთოდებს.

ქალებს მფარველობს ტარტაროზ
როგორც ერთგული გადია
და ჩვენც ტარტაროზკორები
ვართ მისი ნაღდი გვარდია.

# თურმე ასე სჯობია?!

აქ ჩვენს „წითელ სასადილოს“
ტარტაროზ, თუ ინახულებ,—
ჯავრი ნუ გაქვს,—ჩვენთან ერთათ
მგონებ შენც კი იმარხულებ.

სასადილო „ჩეკი“-ს რიგში
ვინ გაკადრებს:—ჩადექიო“!
ან და სამ დღეს იქეიფო:
დროა ეხლა ადექიო!

დანა ჩანგალს, კოვზს და მარილს
მოგაყრიან ზედი-ზედა.
ასეთ პატივს გცემენ, ძია,
არ ენახოს „ხელმწიფეთა“.

ეს წესია „ქართველური“,
წესი წესათ უნდა დარჩეს
(მაგრამ სუსხი ტარტაროზის
იმათ ამ წესს გადაარჩევს).

## სამკითხველო

ტარტაროზჯან, სამკითხველო
უკეთესი ვის უნახავს?!
იქნებ ვინმემ შეგვეჯიბროს,—
უკაცრავათ!—ჩვენი გახლავს.

თუ გაზეთებს შიგ ვერ ჰპოვებ—
რა ფუჭდება მერე ამით.
საჭიროთ მოედანად
ვირთხებისთვის არის ღამით.

„ღმერთმა“ მაღლით გადმოგვხედა-
სამკითხველო ჩვენ გვაღირსა...
ვმადლობ „უფალს“ კვირას ვპოვეთ
გაზეთები იანვრისა!

გაგვეხარდა, გავიცინეთ
ერთხმათ გადავიხარხარეთ
სამკითხველოს გამგე „ლენა“-ს
მივესალმეთ და ვახარეთ.

„ხვლ კი“.

# საღვთო-ნატანები

ტარტაროზ, შენი ჭირიმე,
ცოტა დამიგდე ყურია.
მინდა ამბები მოგწერო,
რადგან ძალიან მწყურია.

სატარტაროზო ამბავი
ჩვენში ძალიან ხშირია,—
მაგრამ არავინ არ სწერავს
გაშრეს იმათი პირია.

ქურდობა, ფულის გაფლანგვა
ჩვენს საღვთოს თემში ხშირია,
ამ მცარცველებ პირებსა
თქვენი მათრახი სჭირია.

# ქუთაისის „სინდიკატში“

„ფართლეულობის სინდიკატის ადგილობრივ განყოფილებაში მოს მსახურენი სისტემატიურათ ღამის 10—11 საათამდი მუშაობენ და არც ეძლევათ ზედმეტი სამუშაოს ხელფასი.



ჩვენც—მივხედეთ
ამ სინდიკატს
სახწრაფოთ და
მცირე—ვადით—
კმაყოფილი
დავრჩით ფრიად
მუშებით და
სინდიკატით.
მაგრამ ერთი
უნდა ვკითხოთ
სინდიკატის
მთავარ გამგეს:
—მუშებისთვის
ღამით მაინც
ლოგინი რათ
არ დააგეს?
დამთქნარება
—ადვილია,
შრომა არის
ცოტა ძნელი:
—მუშტარს
მკვირცხლათ
როგორ შეხვდეს
უძინარი მასპინძელი!

# რისთვის არსებობენ რევიზორები?

„14 ნოემბერს ფოთიდან თბილისში მომავალ მატარებელზე № 9 მოყვებოდა რევიზორი **ხაბულიანი.** მან სამტრედიიდან მისცა დეპეშა რიონის სადგურის უფროსს, რომ ბილეთები არ გაეყიდათ, თბილ ვაგონში ყველა ადგილი დაკავებულიაო. აღმოჩნდა, რომ ვაგონში ორი კუპე სავსებით ცარიელი იყო და რევიზორ **ხაბულიანს** იგი „ნაცნობმეგობრებისთვის“ შემოენახა“.



რე[illegible] [illegible] ხაბულიანის ფეხები სამ კუპეს ს[illegible]ვდება, [illegible] უფროსის ხელი ნუ თუ ისე მოკლეა, რომ ხაბულიანამდე ვერ მისწვდება? სინჯონ მაინც, ჩვენ ვუცდით!

შვიდ წლედის სკოლას ვაშენებთ
ძალიან გასაჭირია,—
მაგრამ რაც იქნეს, რა ვუყოთ,
ეს ყველა გლეხებს გვჭირია.

გამოგვიცხადეს სუყველას:
არ გაიტეხოთ პირია.
ფულია მოსაკრეფიო,
და კარგი კაცი გვჭირია.

გავგზავნეთ ქალაქ თბილისში
„პატიოსანი“ პირია:
ამ სკოლის მასწავლებელი,
არ ითქმის მაზე ძვირია.

დაბრუნდა „პატიოსანი“,
ჩამოგვიტანა ფულია
რვა თუმნის ჩამოტანაში
ცხრა არის გაფლანგულია.

ამგვარად, ათი მანეთი
დაგვრჩა იმისი ვალია...
ასეა ჩემო, ტარტაროზ,
ატანე ასეთს თვალია.

ესოფი აღმშენებლობის
თავმჯდომარ-რწმუნებულია
(თუ ბევრს საქმეში ქება მას,
ბევრში კი წუნებულია).

აღმშენებლობის მაგივრად
ქურდობას მიჰყო ხელია.
იმისი საქმე ჯერ ჩვენა
არსად არ გაგვიმხელია.

ეხლა დავსწერე სულ ცოტა
მეტი არ გამიბედია;
ისე ამოჰკრეს პანღური—
უკან არ მოუხედია.

ესოფის უთხრეს:—მოგვშორდი,
სხვაგან მონახე ბინაო...
(მაგრამ ეს შენი ხელობა
ყველგან დაგხვდება წინაო)

—

ახლა მინდა რომ შევეხო,
აქვე გვყავს მამა-მღდელია...
გლეხები ფულს არ აძლევენ
საკურთხი გამოელია.

სკოლის მასალა გაქურდა,
მიზიდა ყველი სახლშია.
(არც ამის ქება-დიდება
ჯერ არ გასულა ხალხშია)

არაფერსა გთხოვ მეტს ეხლა,
ერთი მაქვს სათხოვნელია.
ამათი ზურგი მაჩვენე
ჩანგლითა ანაჭრელია.

როცა დამჭირდეს მათხოვე
გუდა-ნაბადი სტვირია,
რომ ყველას მივულილინო
ვინც ჩვენში მაგნე პირია.

ლეკრას ბზიკია.

# „სპეც-ტანსაცმლის ნიმუში



დჟელტმენია
ეს მგოხანი.
ორდენია
ჩოხოსანი.



ოფიცერი ყოფილი,
(დღეს ნაკლები უფლებით)
არ არის კმაყოფილი
ჩვენი ხელისუფლებით!



ო, ეს მანდილოსანი
(მას რომ უმღერს მგოხანი)
თქვენ თუ „ტუზი“ გგონიათ,
—ჭკუა აღარ გქონიათ.

## ვერ ვნახეთ—დაკარგულია

**ხაშურის დაბალი სკოლის მასწავლებლების ცხოვრებიდან.**

ჩვენ ჯამაგირებს ვეძებდით,
ვერ ვნახეთ — დაკარგულიყო.
სადაც მივდივართ,—ვკითხულობთ:
სადა ხარ ხვენო ფულიკო.

ვკითხეთ ხაშურის ალმასკომს;
ხმა მაღლა გვითხრეს: „არ იყო“.
გორის სალაროს მივადექით,
მათგანაც ცივი „ვარიყო“.

ვკითხეთ ხაშურის სალაროს
ეხლა რომ ამოსულიყო:
—იქნებ აქ იყოს გვითხარით,
ჩვენ რომ დავკარგეთ ფულიკო.



ჰა, ის არის ნამდვილი
სპ[illegible] ტანსაცმელია:
ფეხსაცმელი დიდია
და ხალათი გრძელია.

ორი წელია დავეძებთ,
არსად არა სჩანს „სულიკო“,
დღესაც არ ვიცით სად არის,
ან ვისთან დამალულიყო.

ჩვენი მეპურე კარაპეტ
ჩვენს კარზე ატუზულიყო.
(ამ ჩვენი მწუხარებითა
ისიც კი დაჩაგრულიყო)

„აქ შენ რა გინდა?“—ვკითხეთ მას,—
მან თავი დაბლა დახარა...
აწ რაც უნდოდა ველარ სთქვა,
ხოლო ცრემლები დაჰღვარა.

სად არის, ნეტა, ვიცოდე
ამდენხანს ჩვენი ფულები?
მოდი ზარემლა რას უცდი
დაატკბე ჩვენი წყლულები!

მტირალი.

# ამბროსი და ჩოხატაურის ცხრა-წლედი







## აქაური ,,რამე-რუმე‘‘
(წერილი ასკანიდან)

ვარ ვინმე გლეხი, მოლექსე, ამა ამბისა მთხრობელი;
მღვდელ-დიაკვნების ბერების მაგინებელი, მგმობელი;
ძველი კერპის და წესწყობის შემრყევი, დამამხმობელი,
— წამწარდეს ვისაც ჩვენს ზურგზე მოუჭამია სოფელი!
ესე ამბავი, ტარტაროზ, სიმართლით მოგეხსენება,
საცა ძველისა ნგრევაა და ახალისა შენება;
მუნ მღვდელ-ვაჭრებით-ჩარჩებით სოფელს არ მოესვენება
— მოეც ამათა შენ რისხვა, გააქრე მათი ხსენება!.
ხშირია ჩვენში ქორწილი, ფულიანი და უფულო.
მიმლოცველებში ბევრის სახლში უჭადო, უპურო;
ამათი ცემა-ტყეპასა საღამოს უნდა უყურო;
ეჩხუბებიან ერთმანეთს უცხვირ-პირო და უყურო.
ამისი მზგავსი ამბავი განა ერთი და ორია?..
ერთიც იქ იყო, მუნ საცა ასათიანის გორია:
სარის ტრიალსა ვინ ჩივის,—ტყვიაც არს განასროლია
და საექიმოდ დაჭრილი ჯერხანად მარტო ორია.
ქორწილის მზგავსათ ტირილიც აქეთკენ ხშირად არია.
„მოტირალებიც“ ბლომად არს, ავდარია თუ დარია;
ოღონდ გამოძღეს ერთი და—ვის ახსოვს შენი მკვდარია...
ყანწებმა, ჩაის სტაქნებმა ტირილ ჭამადიც არია.
ამგვარად გაჰქრა ოქმი და კანონი ხალხის ნებისა,
საცა ეწერა წესრიგი: ტირილის-განსვენებისა.
ვინც რომ დაარღევს—ამბობდენ—ჯარიმაც გადახდებისა.
(ნეტავი მისი „უარყოფა“ თემსაბჭომ რათ ინებისა?!
საშემოდგომოდ, ტარტაროზ, გვესტუმრეთ ერთი აქეთა,
რასაც მოგიწერს „ბოილე“ თქვენი თვალითაც ნახეთა.
„საჩანგლოს“ ყური აუწი და საქებარნი აქეთა;
ზოგი წაიღეთ სასაპნოთ, ზოგიც აქ შეინახეთა.

ფ. ბოილე.

# უსამართლო სამართალი




ქალდატანება



გამათრახება




დ ა ბ ე გ ვ რ ა



იძულებითი მუშაობა

# მასწავლებლის გოდება

ნეტა სად ხარ, გენაცვალე, ჯამაგირო?!?
რად გსურს მარად უნუგეშოდ რომ გვატირო?

უიმედო მოლოდინში ვსტირით შენთვის,
ცრემლი ჩვენგან დანადენი შავ-ზღვას ერთვის.

სამი თვეა (მალე ოთხიც შესრულდება)
უშენობით დაქვრივებულთ სული გვხდება.

შენზე დარდმა დაგვიდაღა მტკიცე გული,
თვით საფლავშიც ჩაგვდევს შენი სიყვარული.

იქნებ ნახე ჩვენზე კარგი საყვარელი
და იმისკენ გაიწოდე ტურფა ხელი!?

ვაი, თუ მალე ჩვენი ტრფობაც დადავიწყდეს
და იმედი სამუდამოდ გადაგვიწყდეს!?

გვითხარ, გვითხარ:—ვინ მოგვტაცა შენი თავი?
რად არ გესმის ჩვენი კვნესა გულსაკლავი?

ჯამაგირო, სთქვი როგორ ძლებ შენ უჩვენოთ!
ჩვენ კი—წამიც ვერ იქნება—არ გახსენოთ.

იმედს ველით, იმედი კი არსად ჩნდება,
ძილშიაც კი შენი სახე გველანდება.

შენც კი იცი ნაქები ვართ სიღარიბით,
საწყალ ოჯახს ველარ ვარჩენთ ჩვენის ჯიბით.

არ გვისვენებს ზურგს—სიცივე, კუჭს—სიმშილი.
ულტიმატუმს გვიდგენს მწვავეს ზოგს ცოლ-შვილი.

უცოლშვილომ დაუცადოს იქნებ ბოლოს,
თუ კი ძებნას არ დაუწყებს ის საცოლოს.

ქალებისთვის გათხოვის დრო ახლოვდება,
მაგრამ, ხედავ: უშენობით ვინ თხოვდება?!

არც საშველი, არც იმედი, აღარც ნდობა,
თვალწინ გვიდგას მხოლოდ მწვავე უბედობა.

ფული კიდეც რომ ვიშოვოთ სასესხებლად,
შენი თავიც არ ეყოფა მას სარგებლად.

თუ კი ვინმეს აღმოაჩნდა ჩვენს უბანში,
—თვიურად გვთხოვს ის ორ მანეთს ერთ თუმანში

შენ კი სხვების ფულებივით რად არ ბარტყობ?!
მაგრამ მუცელს გადაჰყევი, როგორც გატყობ.

მიჰქრის ჟამი, ულაგმო და უაღვირო,
—შენი ხმა კი არსად ისმის, ჯამაგირო!

ღარიბი.

# ჩვენი დროის „დავით დროიძე"

(კულაშის ერთ-ერთი კუთხე)

დღეს სიმდიდრით ქებული ჩვენი ბესარიონი,
წინა დროში ყოფილა ჰარაჩხანის პატრონი,—
მაგრამ როცა იცვალა ქვეყნად ჟამი და დრონი,
—დაჰკმო ეს პროფესია, დაუწყევლა მომგონი.
ხალხი ბლომად დაჰყვლიფა, გამოავსო დახლები,
სხვების ნაოფლარითა აიშენა სახლები.
მოურავად დაუდგა ის მეზობლის ობლებსა;
(იქნებ კაცი არ ყავდათ, იმ დროს მის მეზობლებსა).
რადგანაც მას ქონება ობლებისა ებარა,
მათი სახლი გაყიდა, ფული თვით ჩაიბარა.

—

მაგრამ, დრო რომ გავიდა,—დაიზარდენ ობლები...
(ატყობს ბესო ეზრდება მტერი დაუნდობლები).
პასუხს სთხოვენ მოურავს სახლის გაყიდვისათვის.
ჰკითხავენ: „რად გაჰყიდე, ან მიჰყიდე, თქვი, სად? ვის?!
ბესო ამბობს:—ცოტა ხანს მაცალოთ რა მოხდება;
თქვენი სახლის მფლობელი ამ ერთ წელში მოკვდება.

—

მოიშორა დროებით ამ გვარის ხუმრობითა,—
მართლაც სახლის პატრონი მოკვდა დედაბრობითა.
ბესო—კი ამ სიკვდილმა ძალიან გაახარა,—
დაარღვია ის სახლი და ობლისას ჩაჰყარა...

—

ბესოს ჰყავდა მეზობლად ფარნაოზი „ნეტარი",
ავად იყო საწყალი, სჭირდა კუჭის კატარი.
გადაგზავნეს თბილისში ტანჯვის შესაყენებლად,
მაგრამ მალე საბრალო გახდა მოსასვენებლად.
ბესო გამოცდილია, ყველას მოეხსენება,
დაავალეს მეზობლის სოფლად ჩამოსვენება.
მეზობლების ერთგული დავალებას კისრულობს,
თან საჭირო ხუთ თუმანს ის ვითომდაც სესხულობს.
თავის ფულით სოფელში მოასვენა მან მკვდარი..
—და სარგებელს მოელის ცოდვის გზაზედ დამდგარი.
ფარნაოზის ოჯახი იცის რომ ღარიბია,
გულში ფიქრობს: ვაი თუ, ველარ გავკარ ქლიბია?!
გამიუქმდეს უბრალოდ ხრიკი გამონაცადი
და ვეღარ ავასრულო ჩემი გულის საწადი.
მაგრამ ვინ გაუბედავს „კულაკს" ფულის წართმევას,
ჩვენი დავით დროიძეც ეძებს მარჯვე შემთხვევას.
მკვდარის გასვენების დღეს ბესოს ხარბს გულს ეშველა,—
რაც ფული შემოვიდა ჩაიჯიბა მან ყველა.
დილას შვიდი თუმანი მიაქვს მოურიდებლად
(თავნად იღებს ხუთ მანეთს, ოც მანეთს კი სარგებლად).
აუსრულდა წადილი ბესოს პირ-გაშავებულს
(დანარჩენს კი უბრუნებს ოჯახს გაძვალტყავებულს)
ჰკითხეს „ნუ თუ ეს არის დღეს შენი მეზობლობა,
გვითხრან, რაში დაგჭირდა ამ გვარი უნდობლობა?!
იგი ამბობს: „ამ ქვეყნად არავის არ ვენდობი,
თქვენ თავს მიჯობს, იცოდეთ, ოქრო ჩამონადნობი.
ამ სიტყვებზე ჯიბიდან ოქრო ამოაცოცა,
მიიტანა ტუჩებთან და მხურვალედ აკოცა.
ჩემთვის, აი ეს არის პირის ზიარებაო,
ხალხი მელე და ღარიბი ძლიერ მეზარებაო".

**მშვიდობის მაძიებელი.**

# წერილი რედაქციას

ამხანაგო ტარტაროზ!

გისურვებ ყოველივე კარგს. ცუდიც რომ გისურვო, მაინც კარგად იქნები, ვიცი შენი ამბავი. რასაც შენ მსუქან-მსუქან ხალხს ნთქავ, ავად რაღა გაგახდენს; შინაურებს რომ თავი დავანებოთ, რაც ევროპაში ბურჟუებია, სულ ყლაპს უშვრები, შინაურებს (განსაკუთრებით ნეპმანებს, „ხოზიაისტვენიკებს" და სპეცებს) ხომ ზოგს ხარშავ, ზოგს სწვავ, ზოგს მარილს აყრი და ისე მიირთმევ, ზოგს უმარილოთაც ახრამუნებ. პირი სოფლისკენაც გაქვს და ქალაქისკენაც, არც ერთი მსუქანი ლუკმა არ გამოგეპარება, რაც შენ გამფლანგველები ხახაში ჩაიფლანგე, ასი წელიწადი რომ იცოცხლო ერთი კბილის მოჩხრევაც არ დაგჭირდება, ისე გასუნტრულებული ხარ. წყალი შენ არ გაკლია და ღვინო, გაუებ და გამორები, ხან თბილისში ხარ, ხან ქუთაისს ესტუმრები, ხან ბათომში ჩამოირბენ; ზაფხულობით აგარაკზე დადიხარ, ზამთრობით ქალაქში გაქვს რეზიდენცია. ჟურნალი შენს ხელშია და გოსიზდატი.

იქნება იფიქრო, ეს ადამიანი რას მაქებს და მადიდებს, რა გაუკეთე ამდენიო. იფიქრებ კიდეც ამას, მაგრამ ახლავე უნდა გითხრა, რომ ჯერ არამც თუ გაგიკეთებია, დაიშავე კიდეც. შენი მიზეზით ოჯახში საქმე უკუღმა დამიტრიალდა: ჩემი ცოლი და შვილები შენი ჟურნალის კითხვის მეტს არაფერს აკეთებენ თუ რამე უთხარი, შემომიბღვერენ: გაჩუმდი, თორემ ხვალვე „ტარტაროზში" გამოგაქრელებთო.

სამსახურიდან ჯამაგირს მე აღარ მაძლევენ, ჩემი ცოლი მოდის და ის მიაქვს; პაპიროსის ფულსაც არ მიტოვებს.

რომ შევეკითხე:—რატომ მე აღარ მაძლევენ ჯამაგირის მიღებასთქო

მიპასუხა:

შე ოხერო, ვერა ხედავ „ტარტაროზში" რა ამბებია გაფლანგვის შესახებ?! შენც რომ აიღო და გაფლანგო შენი ჯამაგირი ვიღას მივმართოთ. ისიც გეყოფა რაც ამდენხანი მიითვისეო.

ასე რომ ასეთი საქმე მიქნა შენი ჟურნალის გამოშვებამ.

მიუხედავათ ამისა, მე მაინც შენი მომხრე ვარ. რატომ, იცი: ერთი სათხოვარი მაქვს. ერთი ამბავის შესახებ წერილი მაქვს დასაბეჭდი და დამიბეჭდე.

მე მინდა დავწერო ტრამვაის ვაგონებში შესვლის ტრაგედია.

შინაარსი მოკლედ ასეთი იქნება: დაწესებულებაში თუ წარმოებაში მომუშავე დილით ელოდება ტრამვაის სამსახურში წასასვლელათ. ვაგონის გასაჩერებელ ადგილას ზღვა ხალხია, ვაგონი მოდის, მაგრამ „ჩობანო“ მოქალაქე ვერ ასწრებს შიგ ჩაჯდომას, მოდის მეორე ვაგონი, იქაც ისეთი ამბავია, მოდის მესამე, მეოთხე, მეათე და მეთორმეტე. ხდება 11 საათი. 12 საათზე „ჩობანო“ ვაგონში ჯდება და სამსახურში მიდის. თავისუფლების მოედანთან ან „ზემელის“ აფთიაქთან, ან რომელიმე მოსახვევ ადგილას ვაგონი ლიანდაგს ცდება და ტროტუარისაკენ გადადის, მუშკოოპში ფანელის საყიდლად.

კონდუქტორები და ვატმანები დაფაცურდებიან და ორი საათის მუშაობის შემდეგ, ჯიუტ ვაგონს ლიანდაგზე დააყენებენ და გზას გაუდგებიან

ტრაგედიას ექნება 665 მოქმედება (რამდენი დღეც არის წელიწადში) და ეს მოქმედებები ერთი და იგივე შინაარსის იქნება (როგორც სინამდვილეში ხდება ხოლმე) ცოტაოდენი შეცვლით, თუმცა ეს უკვე რეჟისორის საქმეა.

თუ იმ ტრაგედიას დამიბეჭდავ, შემდეგში მის დადგმას და რეჟისორობასაც შენ მოგანდობ.

ალარხანი.



# პირით სოფლისაკენ! თავით ფეხისაკენ!

სოფელ ქვიტირისაკენ კაი ხანია პირი უბრუნებია ცეკვის მასწავლებელს, რომელსაც კულტურა ფეხებიდან დაუწყია (ალბათ თავს ვერ მიაგნო)! მუშკორი ქვიტირელი გვწერს:

„ფიზკულტურა კარგი საქმეა, ცეკვა—არა ნაკლები, მაგრამ სულ ცეკვა და ცეკვა... „როსლა ელირსოს ფეხს დასვენება“. არის ბრაგა-ბრუგი ქალ-ვაჟთა შუაღამემდე, სახლში მიუსვლელი „ძმაბების“ მოსაძებნათ მოსულან დედები და მაინც და მაინც დიდ „გაბედნიერებას“ არ ხედავენ დაუსვენებელ ცეკვაში, კარგია ფეხების მოძრაობა, მაგრამ თავი რათ უნდა იყოს სულ უმოძრაოთ?“



ტარტაროზმა შემდეგ ნაირათ გააწესრიგა ქვიტირელ ქალ-ვაჟთა გაკვეთილების ცხრილი:

— „კამარინსკი“
— ქიმიაა,
„ნაურსკი“ კი
— არითმეტიკა!
— აბა, ბიჭო,
მარდათ ფეხი!
— შენც ყოჩაღათ,
ძლაბო, იყ.ვ!
„კეკუოკი“
— ისტორია,
ფიზიკა კი
— „შამილია“
— ბიჭო, ხელი
ძლაბისათვის
წელში რატო
წაგივლია!
ვეხარბებით
სოფელ ქვიტირს,
— აქ ცოდნიათ
ცეკვა-ძია!
მაგრამ—
გვიკვირს:
განათლებამ
— თავთან რით ვერ
მიაღწია!

# ყბად ასაღები—წყალ წასაღები

## კიდევ „მაშ ხუხე“-ზე

მუშკორი „პირცეცხლი“ კვლავ ცუდ გუნებაზე დაუყენებია გამოჩინებულის თემის სოფ. აბაშის მოწინავეთა „მხიარულ გუნებას“ და ქეიფს. იგი გვწერს:—

„ჩვენ სოფელში ჰიქით აღარ კადრულობენ სმას, ყანწებს მიყვეს ხელი. „აბა დელია“ დაივიწყეს და „მრავალჟამიერს“ მღერიან. გვიშველე ტარტაროზო!“

ტარტაროზის აზრით გამოჩინებულის თემში მართლაც გამოჩინებული საზოგადოება შემდგარა—„მაშხუხე“.

კრიტიკულის თვალით, რომ შევხედოთ ამ საზოგადოებას ნაკლი არაფერი აქვს ერთის გარდა:—რატომ დალუპეს თემი და „აბა დელია“ ასე გულცივათ რათ გასცვალეს „მრავალჟამიერზე?“ ემღერათ ერთიც და მეორეც! უსაქმობას ეს არას დააკლებდა, ხოლო „მაშ ხუხე“-ს „რეპერტუარი“ სიმაღლეზე დადგებოდა.

# სატარიფო თათბირის გამო

სამტრედიაში



**ტერ-მიქელ.** იცი, ჩემო მიხო, ეს კავშირის [illegible] მოგვატყუილებენ აქ ჩვენ და ბევრს მოგვამატებინებენ მუშებისათვის.

**მიხო:** დარდი ნუ გაქვს, მე ხომ არიფმომეტრზედ ვიცი ანგარიში და ისე გამოვიანგარიშებ, რომ ვერაფერს ვერ წაიღებენ!

**ტერ-მიქ.** უ—უ, შენ რა იცი, იქ ისეთი ხალხია, რომ მეტად სახიფათოა. აბა შენ იცი—თუ რამეს გახდები, მაგრამ მგონი არაფერი გამოვა,—ისინი თავისას გაიტანენ!

**მიხო:** დარდი ნუ გაქვს--ანგარიში ჩემზედ იყოს!

## სამაგალითო გლეხკომი... უქაცრავათ-ინვალიდი

**ხიდისთავში** მართლაც „სამაგალითო" გლეხკომია. თუ ვინმეს უსაქმობის მაგალითი უნდა, ამ გლეხკომს უნდა გაეცნოს. გლეხკორი **სარ. ლომთათიძე** ასე ახასიათებს მის „მუშაობას":

„ხიდისთავში 1200 მეკომურია... გლეხკომს კი მარტო 150 წევრი ყავს. გლეხკომს არა აქვს ფონდი, არა აქვს კოოპერატიული სავაჭროები. **მთელი წლის განმავლობაში გლეხკომმა დახმარება აღმოუჩინა მხოლოდ ერთ ინვალიდს, რომელიც გადმოგზავნეს თბილისში".**

თუ გლეხკომის გადმოგზავნილი ინვალიდი თვით გლეხკომსავით დაავადებულია, ვფიქრობთ მას დიდხანს დასჭირდება ექიმობა. საინტერესოა ვიცოდეთ თუ თვით გაინვალიდებულ გლეხკომს ვინ დაეხმარება და სად გაგზავნიან? იქნებ **ჯანდაბაში**—ვინ იცის—ამბობენ ასეთი ქვეყანაც არსებობს!

## იქნებ ,,თქმაც" წყალმა წაიღო?

**საჩხერიდან** გლეხკორი **გრ. დარელი** გულამოსკვნით სტირის:

„ხიდი წყალმა წაიღო. უხიდობით სული გვხდება. ამბობდენ ადგილობრივი ხელისუფლება ამ საქმის მოსაგვარებლათ მალე დაიწყებს მუშაობასო. თქმით ითქვა, მაგრამ"...

როგორც ხედავთ „თქმით თქმულა", მაგრამ... ალბათ საჩხერის ხელისუფლების თქმაც წყალმა, წაღებულ ხიდს გაატანა? კაია, სამაზრო ხელისუფლებამდი მაინც ჩაიტანდეს!

## გორში თანამშრომლებია ბორჯომში ,,სკანდალი"

რუსულად ამბობენ: „კიევში ბიძაა, ბოსტანში ბოლოკიო", ქართულად ამ ანდაზს, ასე ამბობენ:—**გორში** ალმასკომ—პროფბიუროს პასუხისმგებელი ტეხნიკური თანამშრომლებია, ხოლო **ბორჯომში** „სკანდალიო". სწორეთ ასეთ ამბავს იუწყება მუშკორი **ბორჯომელი:**—

„ამ ერთი კვირის წინათ ბორჯომში კიკნაძის ღვინის საწყობში გორის ალმასკომისა და პროფბიუროს პასუხისმგებელი ტეხნიკური თანამშრომლები „დათვრენ, კიკნაძე გალახეს და მილიციელსაც „გარადავოი" უწოდეს".

გორელ ტეხნიკურ თანამშრომლებს ბორჯომში ტეხნიკურათ მართლად კარგათ მოუწყვიათ „სკანდალი" და შელვინე გაულახავსთ—ალბათ ღვინო რად დაგვალევინეო, მაგრამ ღვინოსაც რათ არა სცემეს—თავი რათ დაგვათრობიეო, მათ ფხიზელი მილიციონერისათვის „გარადავოი" უწოდებიათ, ჩვენ კი ვეძებთ, მაგრამ ვერ მოვნახეთ—თუ თვით ამ მაჩუბარ ხალხს რა ვუწოდოთ! იქნებ გორის სამაზრო ალმასკომი დაგვეხმაროს?

## ა მ ბ ო ბ ე ნ!...

**ველისციხის** აფთიაქის გამგეს, როგორც იქნა, მადის მოსაყვანი წამალიც უშოვია და სრულიად უმტკივნეულოდ (კბილიც არ ულრძვია!) 6 ათასი მანეთი გადაუყლაპწავს! მუშკორი **„იგი"** იგავ-არაკით გვატყობინებს:

— ამბობენ—ველისციხის აფთიაქის გამგემ ექვსი ათასი მანეთი შეჭამაო.

ამბობენ—რევიზია „სახმედვაჭრობას" არ მოუხდენიაო.

ამბობენ—ასეთი დაუდევრობა კახური ღვინის ბრალიაო".

ამბობენ. ამბობენ, მაგრამ რათა მაინცა და მაინც კახურ ღვინოზე ამბობენ, როცა „სახმედვაჭრობის" ინსტრუკტორები იმერულ ღვინოსაც არ სწუნობენ? შემდეგში ის მაინც გვაცნობეთ თუ სასამართლომ რა სთქვას?

## გოგრა მაინც გაუხსნან

შორაპნის თემის სოფ. ზედა-ილემიდან გლეხკორი **კოლია ილმელი** ძალიან შეწუხებულია, რომ:

„ზედა-ილემში იყო კოოპერატივი და წარსულს ჩაბარდა, იყო სამკითხველო და მოისპო, არის შკოლა და იკეტება"...

საჭიროა მოინახოს ვინმე ასეთი, რომელიც დაკეტილ დაწესებულებებს თუ არა, ზედა-ილემის მეთაურ პირთა გოგრას მაინც გახსნის და ჩაიხედავს—ვინ იცის ქარმა საბძელი სულაც გაანიავა?

# „სტურიუზბაშიადა“

## (ქუთათური ოპერა)

„ქუთაისის თამბაქოს ქარხნიდან დირექტორი იუზბაშევი და მისი მოადგილე სტურუა სხვადასხვა ბოროტმოქმედებისთვის ქარხნიდან სატუსაღოში მიავლინეს, ქარხანაში კარგათ გრძნობდენ ეს ვაჟბატონები თავს, ხოლო სატუსაღოში როგორლა არიან—არ ვიცი!“

მუშკორი პიკნა.




**დუეტი ქუთათური ოპერიდან**

**„სტურიუზბაშიადა“**

**იუზბაშევი**—სტუუურუა! მითხარ,
მითხარ შენსა მზესა
შენი თვალი რასუმზერსა?

**სტურუა:**—რას კითხულობ გულის
სწორო,
ჩვენი ყოფა რა რიგია—
დაიქცეს მისი ოჯახი—
ვი! ეს ციხე აუგია!

**იუზბაშევი:**—შენთან ვიყავ
მე ქამაში,
ჯდომაშიც ხომ
შენთანა ვარ!

**სტურუა:** ამიტომაც ჩემო
კარგო
მომდურავი
ბედთანა ვარ!

**ორივე ერთად:**
- ვნავარდობდით,
- ვიმღეროდით—
- რა კარგია:
- „სულ მე, სულ მე!“
- —არ ვიცოდი,
- რომ ციხეში
- დაგვამწყვდევდენ
- რწყვილათ თურმე!

**იუზბაშევი:**—ს[illegible]უუუ
მითხარ, მითხარ შენსა მზესა
ასე ჩვენ ვინ
აგვაკვნესა?

**სტურუა**—რას კითხულობ,
ჩემო ბიჭო,
თუ რა ყოფა
აქ არია!

**იუზბაშევი:**—უკვე გადნა
ამ ციხეში
ნაქაფავი
შაქარია!

**სტურუა:**—შენთან ვიყავ
მე ქამაში,
სუდშიაც ხომ
ერთად წავალთ?

**იუზბაშევი:**—ვაი, თავო
უბედურო.
რა ვიყავით,
ეხლა რა ვართ!?

**ორივე ერთად:**
- ქეიფობა
- იყო ხშირათ
- ვიძახოდით:
- „სულ მე, სულ მე!“
- არ ვიცოდით,
- რომ ციხეში
- დაგვამწყვდევდენ
- რწყვილათ თურმე!

# სამტრედიის ხაზზე



## შჩ|1 კურდიუმოვი

— ვა, სულ მიბარებენ კავშირში, მოხსენება გააკეთე შენს მუშაობაზეო: რა ჯანდაბა გავაკეთო, როდესაც არაფერს ვაკეთებ? გიჟი ვარ რომ კრებაზე წავიდე და ტელეგრაფისტებმა მჯიჯგნონ—და მაკრიტიკონ რატომ თავის დროზე არ ვიძლევი ხელფას—და სხვა? არა ძმაო, ისევ ჩემს მოადგილეს გავგზავნი, რომ იმას მიესიონ და რაც უქნან მათი საქმა—და მე კი ბათომს არ მოვშორდები.

---

## ს ა ჯ ე ვ ა ხ ო

მიგვინახულე ტარტაროზ,
რომ შემოგაკლდეს ხილია
ნელა კი ჩაიჭვრიტინე,
თორემ ბიკტორი ფრთხილია.
ხშირად შვრება ასეთ საქმეს:
როცა ქალი მასთან მიდის,
წამოუვლის თავში ტოკი
და ბილეთებს არ გაჰყიდის.
„დეპეშაა ლანჩხუთიდან“.
იტყვის ამას და გამოდის;
და ტრიალებს თავბრუდასხმით
მას სად შეხვდეს ან და როდის.
ესეც უყვარს ხშირად ბიკტორს:
**„ხურდა არ მაქვს ამისიო,**
**და ბილეთი როგორ მოგცე,**
**ხომ არ გინდა განისიო“.**
ამ წვრილისგან მსხვილი სდგება,
ეს ხომ ვიცით ყველამ კარგად.
შაურები ცოდვა არის
ბიკტორისთვის დასაკარგად.

ბაყი-ბუყი.